



საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება

ქ. თბილისი

24/09/2021 წელი

№ MOD 6 21 00000865



საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობის, სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 14 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის წესდების“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობის, სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და წესი“.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერებზე სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმებისა და მოცულობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2020 წლის 23 დეკემბრის № MOD 7 20 00000939 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2021 წლის პირველი ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მინისტრი

ჯუანშერ ბურჭულაძე

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო
პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობა, გაცემის
კრიტერიუმები და წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა (შემდგომში - იუნკერი) სტიპენდიის ოდენობა, გაცემის კრიტერიუმები და წესი განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტით, რომელიც ადგენს იუნკერის სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მეთოდოლოგიას, სტიპენდიის ოდენობას, გაცემის კრიტერიუმებს და სტიპენდიის გაცემის ვადებს.

მუხლი 2. იუნკერის სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მეთოდოლოგია

1. სემესტრული რეიტინგული შეფასების გამოთვლის მიზნით, განისაზღვრება სემესტრული რეიტინგული ქულის შემადგენლობა შემდეგი შეფასებებით:

ა) **აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა**, რომელიც წარმოადგენს იუნკერის მიერ სასწავლო სემესტრის განმავლობაში თითოეულ საგანში მიღებული შეფასებების საშუალო მაჩვენებელს. აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა გამოითვლება თითოეულ საგანში მიღებული სემესტრული შეფასებისა და საგნის კრედიტის გათვალისწინებით. აღნიშნული ქულის გამოთვლის მიზნით, ყოველი საგნის სემესტრული შეფასება მრავლდება საგნის კრედიტზე და მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა მოცემული სემესტრის საგნების კრედიტების ჯამზე;

ბ) **ლიდერობის შეფასების ქულა** განისაზღვრება აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონის „იუნკერის ლიდერად ჩამოყალიბების სისტემის“ შესაბამისად;

გ) **ფიზიკური მომზადების საშუალო ქულა** გამოითვლება ფიზიკური მომზადების სამივე სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით.

2. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულა გამოითვლება აკადემიური მოსწრების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,6) ნამრავლს დამატებული ლიდერობის შეფასების ქულა და მისი კოეფიციენტის (0,3) ნამრავლი და დამატებული ფიზიკური მომზადების საშუალო ქულა და მისი კოეფიციენტის (0,1) ნამრავლი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლისას, თუ შეუძლებელია მიმდინარე სემესტრში ფიზიკური მომზადების საშუალო ქულის განსაზღვრა, ფიზიკური მომზადების საშუალო ქულის განსაზღვრისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ფიზიკური მომზადების ბოლო საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგები.

4. თუ იუნკერს ჯერ არ მიუღია ფიზიკური შეფასების შედეგი და არ არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ფიზიკური მომზადების ბოლო საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგები, სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლისას, მხედველობაში არ მიიღება ფიზიკური მომზადების საშუალო ქულა და მისი კოეფიციენტი. ამ შემთხვევაში, სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლა ხდება მხოლოდ აკადემიური მოსწრების საშუალო ქულის, მისი კოეფიციენტის

ნამრავლის, ლიდერობის შეფასების ქულისა და მისი კოეფიციენტის ნამრავლის ჯამის შედეგად, იუნკერის მიერ მიღებული შედეგების პროცენტული მნიშვნელობის გამოთვლის მეშვეობით.

5. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლას და იუნკერთა რანჟირებას ახორციელებს აკადემიის საგამოცდო ცენტრი. აღნიშნული მონაცემები, სტიპენდიის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, გადაეცემა აკადემიის შტაბის G-3/G-2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულებების სასწავლო განყოფილებას, რომელიც სტიპენდიის გაცემის მიზნით, იუნკერზე გასაცემი სტიპენდიების შესახებ ინფორმაციას აწვდის აკადემიის შტაბის ფინანსების მართვის სამმართველოს.

6. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულა დისტანციური სწავლების პერიოდში გამოითვლება მხოლოდ აკადემიური მოსწრებით.

მუხლი 3. სტიპენდიის ოდენობა სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები, წესი და ვადები

1. იუნკერს, რომელიც წარმატებით გაივლის აკადემიის იუნკერთა საწყისი საბრძოლო მომზადების (BCT) კურსს, აკადემიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა (ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრებამდე) და სამხედრო სწავლების პერიოდში, სრული კალენდარული წლის განმავლობაში, ყოველთვიურად მიეცემა სტიპენდია 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტიპენდიასთან ერთად, იუნკერზე ყოველთვიურად, სრული კალენდარული წლის განმავლობაში დამატებით გაიცემა შესაბამისი სტიპენდია რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად:

ა) 300 ლარი, თუ იუნკერი აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას ერთობლივად:

ა.ა) წინა სემესტრის რეიტინგული ქულა აქვს 95-100 ქულის (A+) ფარგლებში;

ა.ბ) წინა სემესტრის ფიზიკური მომზადების თითოეულ სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული აქვს 100 ქულა;

ა.გ) დისციპლინური წლის განმავლობაში დაკლებული აქვს არაუმეტეს 10 საკრედიტო ქულისა;

ბ) 200 ლარი, თუ იუნკერი აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას ერთობლივად:

ბ.ა) წინა სემესტრის რეიტინგული ქულა აქვს 91-94 ქულის (A) ფარგლებში;

ბ.ბ) წინა სემესტრის ფიზიკური მომზადების თითოეულ სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული აქვს 90 ქულა და მეტი;

ბ.გ) დისციპლინური წლის განმავლობაში დაკლებული აქვს არაუმეტეს 20 საკრედიტო ქულისა;

გ) 100 ლარი, თუ იუნკერი აკმაყოფილებს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ პირობას ერთობლივად:

გ.ა) წინა სემესტრის რეიტინგული ქულა აქვს 81-90 ქულის (B) ფარგლებში;

გ.ბ) წინა სემესტრის ფიზიკური მომზადების თითოეულ სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული აქვს 80 ქულა და მეტი;

გ.გ) დისციპლინური წლის განმავლობაში დაკლებული აქვს არაუმეტეს 20 საკრედიტო ქულისა.